

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №5

ქ. თბილისი

26.01.2018

სხდომას ესწრებოდნენ:

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

ირაკლი ბურდული - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურუდიული ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი (საბჭოს თავმჯდომარე);
ელიზბარ ელიზბარაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს პროფესიონალ ქიმიკოსთა ასოციაციის თავმჯდომარე, ა(ა)იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის პროფესორი (საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე);

გიორგი ოდოშაშვილი - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრანტი (საბჭოს მდივანი);

თეო ურუშაძე - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სკოლის დეკანი, პროფესორი;

გიორგი ქვარცხავა - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;

სოფიკო ლომჯანიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტთან არსებული დეპარტამენტის განათლების სკოლის ხელმძღვანელი;

გელა გელაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის ელევთერ ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი;

გაიანე სიმონია - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო განთლების კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი;

დიმიტრი ჯაფარიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ეკონომიკისა და ბიზნესის ინსტიტუტის დირექტორი, წარმომადგენლობითი საბჭოს თავმჯდომარე;

ირინე გოცირიძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის ბიოსამედიცინო ინჟინერიის დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი;

პაატა ბრეკაშვილი - შპს „კავკასიის უნივერსიტეტი“ კავკასიის ბიზნესის სკოლის სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების დეპარტამენტის დირექტორი;

გიორგი თურქია - ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი პროფესორი;

ნატო გენგიური - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

ლევან გორდეზიანი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

ნათელა სახოკია - ა(ა)იპ - სტრატეგიულ გამოკვლევათა ინსტიტუტის გამგეობის წევრი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:

მაია გელაშვილი - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს უფროსი;

თამარ აფრასიძე - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი;

ანა ლელაძე - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

მარინა გედევანიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, რექტორის მოადგილე

ვახტანგ წივწივაძე - კანცლერი

ოლან გოცირიძე - ქართული მევენახეობა-მეღვინეობის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი

ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი

მაკა იოსელიანი - რექტორი

არჩილ გერსამია - ადმინისტრაციის უფროსი

ანანო გორგოძე - შეფასების სამსახურის უფროსი

ბაკურ კვეშელავა - სამართლისა და პოლიტიკის სკოლის დეკანი

თორნიკე შარაშენიძე - პროგრამის ხელმძღვანელი

სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ნინო ჟვანია - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

გიორგი გვალია - მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანი, პროგრამის თანახელმძღვანელი

გია ნოდია - პროგრამის თანახელმძღვანელი

მაკა კაშხია - ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

ზვიად ზალიკიანი - ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ნინო ჩიხლაძე - პროგრამის ხელმძღვანელი, მედიცინის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

ანა ჟორჟოლიანი - ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტები (შემდგომში-ექსპერტები):

მანანა კეკელიშვილი

გიორგი ტიტვინიძე

გიორგი გვალია

გიორგი ოდოშაშვილი

ერეკლე ასტახიშვილი

თინათინ გაბრიჩიძე

ნანა მეზონია

საბჭოს სხდომა დაიწყო 15:40 საათზე.

სხდომას ესწრებოდა საბჭოს 15 წევრი. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო

დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27² მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ირაკლი ბურდულმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების 27⁵ მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ქართული მევენახეობა - მეღვინეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. ა(ა)იპ-საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის პოლიტიკური მეცნიერებების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. ა(ა)იპ-საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის, რუსეთისა და ევრაზიის კვლევების ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ-თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებს და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით, ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.

შუამდგომლობა წარმოდგენილი არ იქნა.

1. შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ქართული მევენახეობა - მეღვინეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ქართული მევენახეობა-მეღვინეობა
განათლების საფეხური	პირველი, ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	აგრარული მეცნიერებების ბაკალავრი
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციას, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მამიებლის მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისათვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ საბჭო იცნობდა პროგრამის დასკვნას, რომელშიც არც ერთი რეკომენდაცია არ იყო წარმოდგენილი. მან სთხოვა ექსპერტებს მოკლედ მოეხსენებინათ პროგრამის შეფასების შედეგები.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ როდესაც ექსპერტები გაეცნენ პროგრამას, ისინი კმაყოფილი დარჩნენ და ფაქტობრივად პროგრამაში არ არსებობდა რაიმე მნიშვნელოვანი ხარვეზი. მან დასძინა, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ ხელმძღვანელები ექსპერტების მიერ მიცემულ რჩევებს არ გაითვალისწინებდნენ, ეს პროგრამას ხელს არ შეუშლიდა პროგრამის სწავლის შედეგებზე გასვლაში. იმის გათვალისწინებით რომ ექსპერტებმა განიხილეს სილაბუსები და ესაუბრნენ თითოეულ პედაგოგს, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე თვლიდა, რომ პროგრამას ჰქონდა კარგი პოტენციალი.

საბჭოს თავმჯდომარემ ექსპერტებს ჰკითხა რა რჩევები ჰქონდათ და შეეძლოთ თუ არა, გამოეყოთ მათგან მნიშვნელოვანი საკითხები, რაზეც ექსპერტმა უპასუხა, რომ ერთ-ერთ რჩევას წარმოადგენდა ფიზიკის კურსის დამატება, სადაც სტუდენტები ისწავლიდნენ იმ ძირითად საფუძვლებს, რომლებიც სჭირდებათ მეღვინეობის მუშაობის პროცესში. გარდა ამისა, ექსპერტების რჩევა იყო ლიტერატურის დამატება. განსაკუთრებით აგროქიმიის, სადაც ახალი ქართული ლიტერატურა არ არსებობს და საჭირო იყო უცხოური ლიტერატურის გამოყენება.

საბჭოს წევრმა, ნათელა სახოკიამ დასვა კითხვა, იმასთან დაკავშირებით თუ რომელი მეოთხე სავალდებულო საგნის ჩაბარება ევალუბოდათ სტუდენტებს ერთიან ეროვნულ

გამოცდებზე, იმისათვის რომ შეძლებოდათ პროგრამაზე მოხვედრა, რაზეც უნივერსიტეტის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ რადგან ეს იყო ახალი პროგრამა, მათ სურდათ შესაძლებლობა მიეცათ ყველასათვის, ვისაც პროგრამაზე სწავლის სურვილი ექნებოდა. თუმცა დროთა განმავლობაში შესაძლოა გამოკვეთილიყო მეოთხე სავალდებულო საგნის დამატების საჭიროება.

საბჭოს თავჯდომარემ, ირაკლი ბურდულმა იკითხა, რამდენ სტუდენტზე იყო პროგრამა გათვლილი, რაზეც უნივერსიტეტის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ მათ მიღება გათვლილი ჰქონდათ 100 სტუდენტზე. ამისათვის ჰქონდათ საკმარისი რესურსი. 2015 წელს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი ჩაერთო საქართველოს საპატრიარქოს პროექტში, რომლის ფარგლებში პატრიარქმა დაავალა რამდენიმე უნივერსიტეტს ქართული მეცენახეობის აღორძინება. სწორედ აქედან გამომდინარეობდა სახელი, როგორც სამაგისტრო ასევე საბაკალავრო პროგრამისათვის. უნივერსიტეტმა პატრიარქის წინადადება მიიღო და გაატარა შესაბამისი ზომები პროგრამის შესაქმნელად. საქმეში ჩაიღო მილიონზე მეტი ინვესტიცია. შეიქმნა ლაბორატორიები ბიოქიმიასა და სხვა დარგებში. შეიქმნა მარანი. მოძიებულ იქნა ასწლოვანი ქვევრები საქართველოს მასშტაბით. ამასთანავე ჰქონდათ ყურძნის ჯიშები, რომლებიც გადაშენების პირას იყო. უნივერსიტეტის წარმომადგენელმა დასძინა, რომ ეს არის მნიშვნელოვანი პროგრამა და პრიორიტეტული დარგი. ამ პროგრამაში ჩართულნი იყვნენ დარგის წამყვანი სპეციალისტები, რომლებსაც გაეცნენ კიდეც ექსპერტები. პროგრამაში ჩართული იყო - 4 პროფესორი, 17 ასოცირებული პროფესორი, 1 ასისტენტი და 13 მოწვეული პროფესორი. ყველა პროფესორმა თავად იმუშავა სილაბუსზე და პროგრამის შექმნაში მათი ჩართულობა დადასტურდა ექსპერტთა ვიზიტის დროს. უნივერსიტეტის წარმომადგენელმა ასევე დასძინა, რომ ამ პროგრამის მაგისტრატურის სტუდენტმა მოიპოვა რუსთაველის გრანტი, ხოლო ადმინისტრაციული პერსონალი მონაწილეობს საერთაშორისო მობილობაში, 2 პროფესორი წავიდა უკრაინაში.

თავჯდომარემ იკითხა, ბევრი იყო თუ არა ასეთი პროგრამები საქართველოში, ხოლო უნივერსიტეტის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ამ დარგში აგრარული უნივერსიტეტი არის ტრადიციების მატარებელი. თუმცა ბევრი მსგავსი პროგრამა ქვეყანაში არ არსებობს. უნივერსიტეტის წარმომადგენელმა დაამატა, რომ სწორედ შრომის ბაზრის გათვალისწინებით განისაზღვრა პროგრამაზე მისაღები ადგილების რაოდენობა და უნივერსიტეტი ეცდებოდა თავისი წვლილი შეეტანა დარგის განვითარებაში.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა გამოთქვა სურვილი ეპასუხა ექსპერტთა რჩევებზე. მან განაცხადა რომ, ანალიზურ ქიმიში დამატებულ იქნა ერთი საკონტაქტო საათი. ამასთანავე ფრანგული სავალდებულო სასწავლო კურსებიდან გატანა იქნა არჩევითში. ცვლილება მაშინვე იქნა გაგზავნილი და ექსპერტებმა დაადასტურეს რომ რჩევა სწრაფადვე იქნა გათვალისწინებული. ამასთანავე არსებობდა კონსულტაციები ფიზიკოსებთან. შესაბამისად რჩევა ფიზიკის დამატებასთან დაკავშირებით იქნება გათვალისწინებული.

საბჭოს წევრმა, გიორგი ქვარცხავამ მიმართა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს და უთხრა, რომ მან ვერ ნახა ორი საგნის სილაბუსი - მეღვინეობის პროდუქციის ტექნოლოგიური კლასიფიკაცია და საშუალებები და ვაზის, ყურძნისა და მისი გადამუშავების პროდუქტთა ნარჩენების გამოყენება სახალხო მეურნეობაში რაზეც უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა რომ მათ ჩააბარეს ყველა სილაბუსი. ამის შესახებ საბჭოს თავჯდომარემ უთხრა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს, რომ ამ საკითხს ცენტრი შეამოწმებდა.

გიორგი ქვარცხავამ რჩევის სახით მიმართა დაწესებულების წარმომადგებლებს, რომ ანალიზური ქიმიის დაშვების წინაპირობად ორგანული ქიმიის არსებობა არ იყო სასურველი. ამასთანავე საბჭოს წევრი დაინტერესდა იმითაც, რატომ იყო ზოგიერთი საგნები, მაგალითად ბიოქიმია დაშვების წინაპირობის გარეშე.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მათი აზრით საბაზისო საფეხურისთვის ის სავალდებულო საგნები რასაც პროგრამა ითვალისწინებდა, იძლეოდა შესაბამის ცოდნას. ეს არ იყო ბიოქიმია მედიკოსებისათვის. საგნები დალაგებული იყო თანრიგობით და სტუდენტები მათ სწავლობენ რიგის მიხედვით მას შემდეგ, რაც წინა საჭირო საგანს გაივლიან.

გიორგი ქვარცხავამ განაცხადა, რომ უმჯობესი იქნებოდა დაღვინების პროცესში ვაზის ბიოქიმია ყოფილიყო წინაპირობად.

საბჭოს წევრმა თეო ურუშაძემ აღნიშნა, რომ პროგრამა იყო ძალიან საინტერესო და ამასთანავე მისასალმებელი იყო იგივე პროგრამის სამაგისტრო საფეხურის არსებობაც. მას სურდა მეგობრული კითხვების და რჩევების მიცემა. მან იკითხა, თუ რატომ გადაწყვიტა უნივერსიტეტმა ნიადაგმცოდნეობა და აგროქიმია ერთ საგნად ესწავლებინათ.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა კითხვაზე პასუხად განაცხადა, რომ მაგისტრატურაზე ისწავლებოდა ნიადაგმცოდნეობა, შესაბამისად ჩაითვალა, რომ ბაკალავრიატის დონეზე საკმარისი იქნებოდა თუ პედაგოგი ორივე დარგში საფუძველს მისცემდა სტუდენტებს.

თეო ურუშაძემ განაცხადა, რომ რადგანაც ეს ორი ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული დარგი იყო, უმჯობესი იქნებოდა მათი გამოიჯვნა ბაკალავრიატის საფეხურზეც. ამასთანავე საბჭოს წევრმა თქვა, რომ ნიადაგმცოდნეობაში არ იყო ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები როგორიცაა საქართველოს ნიადაგი. იმ ფონზე, როდესაც საქართველოს ნიადაგი უნიკალურია, მოიცავს ევროპაში არსებულ ყველა ნიადაგს და ზოგიერთ ისეთსაც რაც იქ არ არის, აუცილებელი იყო ამ საკითხების შეტანა პროგრამაშიც. მან ხაზი გაუსვა ლაბ კურსის არსებობის აუცილებლობასაც, მითუმეტეს შესაბამისი პირობების არსებობის შემთხვევაში. რჩევის სახით დაამატა ისიც, რომ ლიტერატურა იყო მოძველებული და საჭირო იყო მისი განახლება.

თეო ურუშაძემ ასევე განაცხადა ისიც, რომ მას სურდა ეს პროგრამა ყოფილიყო უკეთესი და უნივერსიტეტს ასევე ურჩია, რომ ერთმანეთისაგან გაემიჯნა მევენახეობა 1 და მევენახეობა 2.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ისინი გაითვალისწინებენ რჩევებს. ხაზი გაუსვა, რომ მათთვის მნიშვნელოვანი იყო პერსონალის აკადემიური თავისუფლება ამიტომ ისინი არ ზღუდავდნენ სილაბუსების ავტორებს ლიტერატურის არჩევანში. ლიტერატურის შეძენა პრობლემას არ წარმოადგენდა თუმცა ლექტორებს აძლევდნენ თავისუფლებას თავად აერჩიათ ლიტერატურა.

საბჭოს წევრმა გიორგი თურქიამ იკითხა, თუ როგორ წარმოედგინათ კურსდამთავრებულების დასაქმება, სად შეძლებდნენ სტუდენტები დასაქმებას. რაზეც უნივერსიტეტის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ მევენახეობა-მეღვინეობა აღმავალი სფერო იყო და არსებობდა ძალიან ბევრი მცირე საწარმო სადაც კურსდამთავრებულები დასაქმებას შეძლებდნენ. დასაქმების შესაძლებლობა იქნებოდა საჯარო სამსახურებშიც.

ამასთანავე, გიორგი თურქია დაინტერესდა, რა იყო მოტივაცია, როდესაც საბაკალავრო პროგრამას არსებულ სახელს ურჩევდნენ. რაზეც უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ეს მომდინარეობდა პატრიარქის ინიციატივიდან. პატრიარქმა ითხოვა ქართული ტრადიციული მეთოდის გადმოტანა მომხდარიყო პროფესიულ, წიგნის დონეზე.

გიორგი თურქიამ იკითხა, ხომ არ იქნებოდა ეს სტუდენტის, რომელსაც ჯერ არ აქვს შესაბამისი განათლება - ჩაკეტვა კონკრეტულ სფეროში, მხოლოდ ქართულ ღვინოზე კონცენტრაციით.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა რომ ის უცხოურ 154 მეურნეობას შეხვედრია. ისინი ითხოვენ საქართველოს დახმარებას, რადგან საქართველო „ღვინის გზაა“.

საბჭოს წევრმა პაატა ბრეკაშვილმა დასვა კითხვა იმასთან დაკავშირებით, ხომ არ იქნებოდა უმჯობესი სწავლებაში საერთაშორისო ცოდნის კომპონენტის შემოტანა, რადგან მეღვინე კონკურენტუნარიანი უნდა იყოს გლობალურად. წარმოადგენს რა ეკონომიკის ერთ-ერთ დარგს,

შესაბამისად საჭირო იყო ახალი ტექნოლოგიების დანერგვა მეტი კონკურენტუნარიანობისთვის. მსგავსი საერთაშორისო პრაქტიკა უკვე არსებობდა. საბჭოს წევრმა განაცხადა, რომ მხოლოდ ქვევრის ღვინოზე ორიენტაციით კონკურენტუნარიანობა კითხვის ნიშნის ქვეშ შეიძლებოდა დამდგარიყო. მნიშვნელოვანი იყო ნიშის სწავლება სტუდენტისათვის, მაგრამ საერთაშორისო დონეზე, მეღვინე მხოლოდ ქვევრის ღვინის პრიორიტიზირებით არ უნდა შემოიფარგლებოდეს. მას უნდა ჰქონდეს საერთაშორისო ბაზრის ცოდნაც.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სავალდებულო კურსად გათვალისწინებული იყო მსოფლიოს მევენახეობა-მეღვინეობის ისტორია, რაზეც პაატა ბრეკაშვილმა უპასუხა, რომ ისტორია სხვაა და ტექნოლოგია სხვა, ამიტომ უმჯობესი იქნებოდა სტუდენტს ეს ცოდნა მიეღო.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა ხაზი გაუსვა, რომ ამ პროგრამის უპირატესობა სწორედ კლასიკური მეღვინეობის გაძლიერებულ სწავლებაში იყო. მან აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს ჰქონდა რიდერები ყველა პროგრამაში და ისინი ასახავდნენ თანამედროვე ტექნოლოგიურ მიღწევებს. მან თქვა, რომ ყველა ნიუანსი ამ კუთხით გათვალისწინებული იყო. რიდერები განახლებად ხასიათს ატარებდა. მოძიებული ჰქონდათ ყველა უახლესი ქართული წყარო, თუმცა მათი რაოდენობის სიმცირის გამო ავსებდნენ რიდერებით უცხოენოვანი ლიტერატურიდან.

ელიზბარ ელიზბარაშვილმა გამოთქვა აზრი, რომ პროგრამის მიზანი უნდა ყოფილიყო არა ეროვნული პროდუქციის რეკლამირება, არამედ სტუდენტის აღზრდა დასაქმების სფეროს შესაბამისად. ამასთანავე მეორე საკითხი იყო ის, რომ სავალდებულო მეოთხე საგანს პროგრამა არ ითვალისწინებდა. მისი აზრით საჭირო იყო კონკრეტული საგნების განსაზღვრა სტუდენტების მიღებისას, რაც გაზრდიდა პროგრამის, რადგან ერთიმხრივ ისტორიაჩაბარებული სტუდენტი და მეორემხრივ ბიოლოგია და ქიმიაცაბარებული, ამ პროგრამაზე ერთნაირ შედეგზე ვერ გავიდოდა.

ასევე საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა გამოთქვა აზრი, რომ უნივერსიტეტს უნდა ესწავლებინა სტუდენტებისათვის თანამედროვე ტექნოლოგიების სწორად გამოყენება აგრონომიულ დარგში. რაზეც უნივერსიტეტის წარმომადგენლის პასუხი იყო, რომ პროგრამა აგრონომებს არ უშვებდა. აგრარული მეცნიერებების ბაკალავრის მინიჭების ხარისხი განაპირობა იმან, რომ მეღვინეობა-მევენახეობა ძველ საკვალიფიკაციო ჩარჩოში არ იყო.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა დაადასტურა მზაოდა ყველა მიცემული რჩევის გათვალისწინებისა. მან ითხოვა რამოდენიმე საგნის გამოყოფა, რომლის დამატებასაც ურჩევდნენ.

გიორგი ქარცხავამ იკითხა რომელი 6 უნივერსიტეტისგან შედგებოდა ის სია, რომელიც უნივერსიტეტის წარმომადგენელმა პატრიარქის მიერ მიცემულ დავალებასთან დაკავშირებით ახსენა. უნივერსიტეტის წარმომადგენელმა ჩამოთვალა უნივერსიტეტები. ეს იყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი.

საბჭოს თავჯდომარემ განაცხადა, რომ საბჭო არ იყო ორგანო, რომელიც რჩევებს გასცემს პროგრამების განვითარებასთან დაკავშირებით. მან თქვა რომ საბჭოს მოვალეობა იყო მიეღო გადაწყვეტილება პროგრამის შესაბამის სტანდარტებთან შესაბამისობის შესახებ.

საბჭოს თავჯდომარემ შესვენება გამოაცხადა 16:36 საათზე. საბჭოს სხდომა განახლდა 16:50 საათზე.

გელა გელაშვილი შემოუერთდა საბჭოს სხდომას 16:36 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ქართული მევენახეობა-მეღვინეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 1 წლის ვადით პირობითი აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 12

წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება :

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 22-ე მუხლის მე-3² პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 27⁶ მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ქართული მევენახეობა-მეღვინეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 1 წლის ვადით მიენიჭოს პირობითი აკრედიტაცია.

საბჭოს თავმჯდომარემ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27² მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე სხდომის მდივნის მოვალეობის შესრულება დააკისრა საბჭოს წევრს ლევან გორდეზიანს.



2. ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის პოლიტიკური მეცნიერებების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	პოლიტიკის მეცნიერებები
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	პოლიტიკური მეცნიერებების ბაკალავრი
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240

საბჭოს თავმჯდომარემ, ირაკლი ბურდულმა მიმართა უნივერსიტეტის წარმომადგენლებსა და ექსპერტებს, ხომ არ სურდათ განცხადების გაკეთება, ან ხომ არ ჰქონდათ აცილება საბჭოს შემადგენლობის მიმართ. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს წევრებმა, გიორგი ოდოშაშვილმა და გიორგი თურქიამ განაცხადეს თვითაცილება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციას, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მამიებლის მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისათვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტებს მოეხსენებინათ საბჭოსათვის პროგრამის შეფასების ძირითადი ასპექტების შესახებ.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, გიორგი გვალიამ განაცხადა, რომ ვიზიტმა ჩაიარა გეგმის შესაბამისად, მშვიდ და თანამშრომლობით გარემოში. ძირითადი რეკომენდაცია შეეხებოდა სილაბუსებში არსებული ტექნიკური სახის შეცდომების გასწორებას. მეორე რეკომენდაცია ეხებოდა სასწავლო კურსებით გათვალისწინებული შეფასების კომპონენტების ფორმების დაკონკრეტების საკითხს. იყო შემთხვევები, როდესაც სილაბუსებში არ ჩანდა რა ტიპის შეფასების კომპონენტის გავლა უწევდა სტუდენტს. მან ასევე განაცხადა, რომ ერთ-ერთი რეკომენდაცია შეეხებოდა კონკრეტულად ორი სავალდებულო სასწავლო კურსის გადახედვის საკითხს - რუსეთის და ყოფილი სსრკ-ს ქვეყნების პოლიტიკა და გარდამავალი მმართველობა, სადაც პრობლემა იყო თემების შინაარსობრივი თანმიმდევრობა, ამასთანავე სილაბუსებში გამოყენებული სანდოობის საკითხი. ასევე, ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაცია იყო 2 ახალი კურსი - პოლიტიკის მეცნიერების შესავალი, რომელიც საბაზისო კურსია, და შედარებითი

პოლიტიკის შესავალი, დამატებოდა პროგრამას როგორც სავალდებულო საგანი. ხოლო ერთი კურსი - საჯარო პოლიტიკის შესავალი, რომელიც წარმოდგენილი იყო არჩევითი კურსის სახით წარმოდგენილი ყოფილიყო სავალდებულო კურსის სახით.

მომდევნო რეკომენდაცია შეეხებოდა კურსზე დაშვების წინაპირობების საკითხს. ამასთანავე პროგრამის ინტერნაციონალიზაციის საკითხს გაცვლითი პროექტების მიმართულებით როგორც სტუდენტებისათვის ასევე აკადემიური პერსონალისათვის.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მათ გააჩნდათ საკმაოდ მყარი არგუმენტები იმის თაობაზე, თუ რატომ არ ეთანხმებოდნენ რეკომენდაციების ნაწილს. მან განაცხადა, რომ იღებდნენ ტექნიკურ საკითხებთან დაკავშირებულ შენიშვნებს და გაითვალისწინებდნენ, თუმცა შინაარსობრივი მხარის შესახებ, შემოთავაზებულ კურსებთან დაკავშირებით მან თქვა, რომ პოლიტიკის მეცნიერების შესავალიც და შედარებითი პოლიტიკის შესავალიც მათ კურსებში წარმოდგენილი იყო, თუმცა არა ცალკე სალექციო კურსებად, არამედ სხვადასხვა საგნებში იყო თემატიკა გადანაწილებული. მაგალითად პოლიტიკის მეცნიერების შესავალი სრულად იყო წარმოდგენილი საგანში - მმართველობის ფორმები და თეორიები. რაც შეეხებოდა შედარებითი პოლიტიკის შესავალს, მან განაცხადა რომ ამ საგნის ძირითადი ნაწილი წარმოდგენილი იყო საგანში - გარდამავალი მმართველობა. უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა რომ შედარებითი პოლიტიკის საგნიდან გარკვეული საკითხების დამატება მართლაც იყო შესაძლებელი, ისინი მისი, როგორც ცალკე საგნის დამატებას მიზანშეწონილად არ მიიჩნევდნენ.

საბჭოს თავჯდომარემ, ირაკლი ბურდულმა იკითხა იყო თუ არა სავალდებულო საგანი მმართველობის ფორმები და თეორიები, რაზეც უნივერსიტეტის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ეს საგანი სავალდებულო იყო. მან აღნიშნა, რომ ორივე მის მიერ ზემოთ ნახსენები საგანი სავალდებულო იყო და ფარავდა იმ თემატიკას, რომელიც შეთავაზებულ იქნა ექსპერტების მიერ.

უნივერსიტეტის წარმომადგენელი დაეთანხმა ექსპერტებს საჯარო პოლიტიკის შესავალის არჩევითი კურსებიდან სავალდებულო კურსების ბლოკში გადატანასთან დაკავშირებით.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მას სურდა განსაკუთრებით გამოხმაურებოდა ინტერნაციონალიზაციის კომპონენტს და მას თან ჰქონდა კონტრაქტები, რომლებიც უნივერსიტეტს გაფორმებული ჰქონდა ევროპისა და ამერიკის წამყვან უნივერსიტეტებთან. მან აღნიშნა რომ განსაკუთრებით აქტიური თანამშრომლობა არსებობდა ამერიკის უნივერსიტეტებთან და 2017 წლიდან აქტიური გახდა თანამშრომლობა ევროპის უნივერსიტეტებთანაც. ისინი ელოდებოდნენ ჰამბურგის უნივერსიტეტიდან პროფესორებისა და სტუდენტების ჯგუფს. მან განაცხადა, რომ ეს არ იყო მხოლოდ ქაღალდზე თანამშრომლობა, არამედ რეალური.

ირაკლი ბურდულმა იკითხა იქნა თუ არა მიწოდებული ეს ინფორმაცია ექსპერტებისათვის ვიზიტის დროს.

ექსპერტმა გიორგი გვალიამ განაცხადა, რომ ექსპერტების დასკვნა ეფუძნებოდა იმ ინფორმაციას, რომელიც უნივერსიტეტმა მათ მიაწოდა ვიზიტის მსვლელობისას. მან განაცხადა, რომ ეს ინფორმაცია მათთვის ვიზიტის დროს არ მიუწოდებიათ და თუ ეს თანამშრომლობები არსებობდა, საჭირო იყო მათი დოკუმენტური სახით მიწოდება ექსპერტებისათვის ვიზიტის დროს. ამ შემთხვევაში დასკვნაში ეს რეკომენდაცია არ მოხვედებოდა.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ამ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა გაუგებრობას და კომუნიკაციის ნაკლებობას, რადგან ეს კონტრაქტები არსებობდა.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი ჩამოყალიბდა სწორედ პოლიტიკის მიმართულების ირგვლივ და მათი პრიორიტეტი იყო საერთაშორისო თანამშრომლობა. მათ სურდათ უცხოური PT პროგრამის დანერგვა, თუმცა კანონმდებლობასთან შეუსაბამობის გამო ეს ვერ განხორციელდა, ამიტომ ფორმატი ჩასმულ იქნა

პოლიტიკური მეცნიერებების პროგრამის ფორმატში. კონკრეტულ პროგრამასთან მიმართებით კონკრეტული თანამშრომლობები არ არსებობდა, თუმცა არსებობდა საუნივერსიტეტო თანამშრომლობები, რომლებიც ეხებოდა ახალ პროგრამებსაც.

გიორგი ოდოშაშვილმა, რომელიც ექსპერტთა ჯგუფის წევრი იყო, კომენტარის სახით განაცხადა, რომ ვიზიტის დროს ექსპერტები გაეცნენ ორ უნივერსიტეტთან თანამშრომლობის ინფორმაციას - ვარშავის უნივერსიტეტი და ტროის უნივერსიტეტი, რომლებთანაც თანამშრომლობა იგეგმებოდა. აქცენტი არ ყოფილა მხოლოდ სტუდენტებზე, აქცენტი იყო აკადემიურ პერსონალზე. პრობლემა მდგომარეობდა ძირითადად ფინანსური სახსრების ირგვლივ და ვიზიტის ფარგლებში ექსპერტები დაინტერესდნენ ერაზმუსის პროგრამასთან თუ აპირებდა უნივერსიტეტი თანამშრომლობას. გიორგი ოდოშაშვილმა აღნიშნა, რომ ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებით არსებობდა რეკომენდაცია, რომელიც თანამშრომლობის გადრმავებას ეხებოდა.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ის წუხდა იმის გამო, რომ ექსპერტებს ინფორმაცია არასაკმარისად მიეწოდათ, რაზეც უნივერსიტეტი იღებდა პასუხისმგებლობას. თუმცა სახეზე იყო დოკუმენტაცია და შესაბამისად საბჭოს და კომისიის წევრებს ამჯერად ექნებოდათ შესაძლებლობა გაცნობოდნენ საჭირო ინფორმაციას.

ირაკლი ბურდულმა განაცხადა, რომ მიუხედავად იმისა რომ ექვი არავის ეპარებოდა საერთაშორისო თანამშრომლობის არსებობაში, იურიდიული საკითხების დაცვა მნიშვნელოვანი იყო, თუმცა ამასთანავე, ამას არ ჰქონდა გადამწყვეტი მნიშვნელობა პროგრამის განხორციელების ან არგანხორციელების პროცესში. უმჯობესი იქნებოდა თუ პროგრამის შინაარსობრივ მხარზე გაკეთდებოდა აქცენტი.

საბჭოს თავმჯდომარემ ასევე მოითხოვა წინაპირობების ირგვლივ არსებულ შენიშვნაზე ყურადღების გამახვილება და იკითხა თუ რომელ კურსებს ეხებოდა მოთხოვნა წინაპირობების შესახებ თუ იყო ეს ზოგადად ყველა კურსზე. რაზეც უნივერსიტეტის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ იყო კურსები, რომლებიც არ საჭიროებდნენ წინაპირობას. თუმცა ზოგიერთ კურსზე წინაპირობები დამატებულ იქნა. მაგალითად - გარდამავალი მმართველობისთვის განსაზღვრულ იქნა მმართველობის ფორმები და თეორიები, სამართლის მართლმსაჯულება და ეთიკისთვის დამატებულ იქნა სამართლის საფუძვლები. თუმცა საგნების უმეტესობა არ საჭიროებს წინაპირობას.

ირაკლი ბურდულმა სთხოვა უნივერსიტეტის წარმომადგენელს დაეხუსტებინა იყო თუ არა ჩამოთვლილი საგნები არჩევითი, რაც უნივერსიტეტის წარმომადგენელმა დაუდასტურა.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა რეკომენდაციის პასუხად, რომელიც ეხებოდა სავალდებულო სასწალო კურსის გადახედვის საკითხს - რუსეთის და ყოფილი სსრკ-ს ქვეყნების პოლიტიკა და გარდამავალი მმართველობა, განაცხადა, რომ ეს საგნები იყო მნიშვნელოვანი საგნები და დაეთანხმა ექსპერტების მოსაზრებას ლიტერატურის განახლებასთან დაკავშირებით. ასევე უნივერსიტეტის წარმომადგენელმა თქვა, რომ მათ შეცვალეს სილაბუსებში მითითებული ლინკები მასალის სახით და გადმოიტანეს ავტორის, გამომცემლობის და სხვა რეკვიზიტების მითითებით.

ექსპერტმა გიორგი გვალიამ განაცხადა, რომ რეკომენდაცია შეეხებოდა არამხოლოდ ლინკების მითითებას, რაც რეალურად ნაკლებად მნიშვნელოვანი პრობლემა შეიძლება იყოს, არამედ თავად წყაროების სანდოობას. ეს საკითხი მნიშვნელოვანი იყო განსაკუთრებით მაშინ როცა საქმე ეხებოდა მნიშვნელოვან საგნებს. ექსპერტმა აღნიშნა რომ აუცილებელია სტუდენტებისათვის აკადემიური წყაროების შეთავაზება, ხოლო თუ სტუდენტი თავად მოიძიებს დამატებით ინფორმაციას ეს ცალკე საკითხია.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ამ ნაწილში ექსპერტებს ეთანხმებოდნენ და რეკომენდაციების გათვალისწინებით მათ მასალა შეცვალეს.

ირაკლი ბურდულმა დასვა კითხვა იმასთან დაკავშირებით, რომ მოცემული 5 სტანდარტიდან ექსპერტებს მეორე სტანდარტში - სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება - დასკვნაში მითითებული ჰქონდათ პროგრამის ნაწილობრივი შესაბამისობა, ის დაინტერესდა თუ რა სახის პრობლემამ განაპირობა ეს გარემოება, რა პრობლემა დაინახე სწავლების ორგანიზებაში. რაზეც ექსპერტმა უპასუხა, რომ სილაბუსებში არ იყო გაწერილი სწავლის მეთოდი, ეწერა ზოგადად, მაგალითად სწავლის მეთოდი შედარებითი ანალიზი. შენიშნა იყო კონკრეტულობასთან დაკავშირებით და ეს ეხებოდა ბევრ საგანს და არა ერთს.

ექსპერტმა, გიორგი გვალამ ასევე დაამატა, რომ ასევე არ იყო დაკონკრეტებული შეფასების კომპონენტები.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ რეგულაციები არის საჯარო და ცნობილია სტუდენტებისათვის ის, თუ როგორ ტარდება გამოცდები და სხვა სახის აკადემიური პროცედურები.

ირაკლი ბურდულმა დაამატა, რომ არ შეიძლებოდა ბევრი საგანი იდენტურ შეფასებას მოიცავდეს. სოფიკო ლობჯანიძემ რჩევის სახით მიმართა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს და უთხრა, რომ შეეცადონ გაითვალისწინონ და შეფასების კრიტერიუმებში თავად შეფასების სპეციფიკის ასახვა მკაფიოდ მოხდეს.

გიორგი ოდოშაშვილმა დაამატა, რომ საგანი მმართველობის ფორმები და თეორიები არ მოიცავს პოლიტიკის შესავალისთვის მნიშვნელოვან ყველა საკითხს და მეტად აქცენტირებულია რეჟიმების განმარტებებზე. რაზეც უნივერსიტეტის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ყველა ძირითადი თემა პოლიტიკის შესავლიდან დაფარული იყო სხვადასხვა საგნების სილაბუსებში.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის პოლიტიკური მეცნიერებების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 13

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 22-ე მუხლის მე-3¹ პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^ა მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 27^ბ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ- საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის პოლიტიკური მეცნიერებების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 4 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

საბჭოს თავმჯდომარემ ცენტრს დაავალა სამი თვის განმავლობაში განახორციელოს პროგრამის მონიტორინგი.

3. ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საერთაშორისო ურთიერთობები
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრი
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240

საბჭოს თავმჯდომარემ, ირაკლი ბურდულმა მიმართა უნივერსიტეტის წარმომადგენლებსა და ექსპერტებს, ხომ არ სურდათ განცხადების გაკეთება, ან ხომ არ ჰქონდათ აცილება საბჭოს შემადგენლობის მიმართ. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს წევრმა, გიორგი ოდოშაშვილმა განაცხადა თვითაცილება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციას, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მამიებლის მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისათვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტებს მოეხსენებინათ საბჭოსათვის პროგრამის შეფასების ძირითადი ასპექტების შესახებ.

ექსპერტმა გიორგი გვალიამ განაცხადა, რომ პროგრამა აკმაყოფილებდა სტანდარტებს. რეკომენდაცია ეხებოდა დაშვების წინაპირობებს, მაგალითად არ შეიძლებოდა დაშვების წინაპირობა ყოფილიყო ინგლისურის კარგად ცოდნა.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ შენიშვნები გათვალისწინებულ და გასწორებულ იქნა.

საბჭოს თავმჯდომარემ იკითხა, არსებობდა თუ არა კითხვები პროგრამასთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრმა, ნათელა სახოკიამ განაცხადა, რომ მას ძალიან მოეწონა პროგრამა. ის გაეცნო სილაბუსებს და აღმოაჩინა, რომ პროგრამა მოიცავს ბევრ ისეთ საგანს, რომელიც მიეკუთვნება

ლიბერალურ მეცნიერებებს, რომელთა სწავლაც სტუდენტისათვის საბაკალავრო საფეხურზე ძალიან მნიშვნელოვანი იყო.

საბჭოს თავჯდომარემ გამოაცხადა შესვენება 18:00 საათზე.

სხდომა განახლდა 18:10 საათზე.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 13

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება :

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 22-ე მუხლის მე-3¹ პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^ა მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 27^ბ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ -საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 4 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

გიორგი ოდოშაშვილმა დატოვა სხდომა 18:21 საათზე.

4. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის, რუსეთისა და ევრაზიის კვლევების (CEERES) ერთობლივი ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის, რუსეთისა და ევრაზიის კვლევები (CEERES)
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
პროგრამის ტიპი	ერთობლივი პროგრამა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი - კავკასიური კვლევების მაგისტრი ტარტუს უნივერსიტეტი - სოციალური მეცნიერებების (ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის, რუსეთისა და ევრაზიის კვლევები) მაგისტრი გლაზგოს უნივერსიტეტი - საერთაშორისო მაგისტრი ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის, რუსეთისა და ევრაზიის კვლევებში
სწავლების ენა	ინგლისური
კრედიტების რაოდენობა	120

საბჭოს თავმჯდომარემ, ირაკლი ბურდულმა მიმართა უნივერსიტეტის წარმომადგენლებსა და ექსპერტებს, ხომ არ სურდათ განცხადების გაკეთება, ან ხომ არ ჰქონდათ აცილება საბჭოს შემადგენლობის მიმართ. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს ორმა წევრმა, დიმიტრი ჯაფარიძე და სოფიკო ლობჟანიძემ განაცხადეს თვითაცილება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციას. ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ წარმოდგენილ არგუმენტებზე პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის

თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისათვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტებს გაესვათ ხაზი პროგრამის ირგვლივ არსებული მნიშვნელოვანი ასპექტებისათვის.

ექსპერტმა განაცხადა, რომ აღნიშნული პროგრამა არის ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც ხორციელდება ილიას უნივერსიტეტის, გლაზგოსა და ტარტუს უნივერსიტეტების თანამშრომლობით. სტუდენტები პირველ და მეორე სემესტრში სწავლობენ ტარტუსა და გლაზგოს უნივერსიტეტებში, ხოლო მე-3 და მე-4 სემესტრებში კი ილიას უნივერსიტეტში.

ექსპერტმა განაცხადა, რომ პროგრამა აკმაყოფილებდა ყველა სტანდარტს და თანამშრომლობა წარიმართა სასიამოვნოდ. რეკომენდაციის სახით მან დასძინა, რომ უმჯობესი იქნებოდა პროგრამაში ქართული ენის სწავლების შეტანა.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა, გია ნოდიაშვილმა განაცხადა, რომ პროგრამა საერთაშორისო სტანდარტებზე იყო გათვლილი. უნივერსიტეტს არ ჰქონდა ვალდებულება ენების სწავლების, თუმცა უცხო ენების შემთხვევაშიც და ქართულის შემთხვევაშიც რესურსი არსებობდა, შესაბამისად ინტერესის გაჩენის შემთხვევაში ამ კომპონენტის დამატება შესაძლებელი იქნებოდა.

ირაკლი ბურდულაშვილმა აღნიშნა, რომ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალური და პოლიტიკური მიმართულება გამორჩეული აქვს. მან იკითხა, რატომ არ სურდა უნივერსიტეტს ან რისგან იყო გამოწვეული, რომ არ ახდენდა ინგლისურენოვანი პროგრამის საერთაშორისო აკრედიტაციას. ეს მისცემდა სტუდენტებს შესაძლებლობას საერთაშორისო შრომის ბაზარზე წვდომისა. რაზეც გია ნოდიაშვილმა უპასუხა, რომ პროგრამა იყო ერთობლივი ევროპულ უნივერსიტეტებთან და სტუდენტები მიიღებდნენ სამ დიპლომს.

საბჭოს წევრმა, ნათელა სახოკიაშვილმა იკითხა როგორ ხდებოდა სტუდენტების მიერ საგნების არჩევის თანმიმდევრობის განსაზღვრა, რაზეც უნივერსიტეტის წარმომადგენელმა, გია ნოდიაშვილმა უპასუხა, რომ ყველა სტუდენტი პირველ სემესტრს სწავლობდა გლაზგოში, სადაც გათვალისწინებული იყო სპეციალური თეორიული და პრაქტიკული კურსები და პირველი სემესტრის ბოლოსთვის ირჩევენ სად წავიდოდნენ მომდევნო წელს. მაგალითად წელს თვითდაფინანსებული სტუდენტებიდან საკმაოდ ბერმა აირჩია თბილისი.

ნათელა სახოკიაშვილმა ასევე დაინტერესდა სწავლის გადასახადის ოდენობით, რაზეც გია ნოდიაშვილმა უპასუხა, რომ სტუდენტების ნაწილის დაფინანსება ხდებოდა ევროკავშირის მიერ და შესაბამისად მათთვის სწავლა უფასო იყო, ხოლო თვითდაფინანსების შემთხვევაში სტუდენტები გადასახადს უხდიდნენ გლაზგოს უნივერსიტეტს.

საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა შესვენება 18:40 საათზე.

სხდომა განახლდა 18:50 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის, რუსეთისა და ევრაზიის კვლევების ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 12

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება :

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 22-ე მუხლის მე-3¹ პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული

„საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის, რუსეთისა და ევრაზიის კვლევების ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას 4 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.



5. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საზოგადოებრივი ჯანდაცვა
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მაგისტრი (MPH)
სწავლების ენა	ინგლისური
კრედიტების რაოდენობა	120

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27² მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ელიზბარ ელიზბარაშვილმა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა უნივერსიტეტის წარმომადგენლებსა და ექსპერტებს, ხომ არ სურდათ განცხადების გაკეთება ან ხომ არ ჰქონდათ აცილება საბჭოს შემადგენლობის მიმართ. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს სამმა წევრმა, ირაკლი ბურდულმა, გელა გელაშვილმა და ლევან გორდეზიანმა განაცხადეს თვითაცილება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციას, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისათვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს გაეცნო საბჭოსათვის პროგრამის შესახებ ძირითადი საკითხები, იმდენად რამდენადაც არ იყო რეკომენდაციები.

ექსპერტმა განაცხადა, რომ პროგრამა შეესაბამებოდა ყველა სტანდარტს. ის არ იმეორებდა ანალოგიური, ქართულენოვანი პროგრამის საკითხებს იდენტურად, რაც ხელშემწყობი იყო პროგრამის გაფართოებისათვის.

საბჭოს წევრმა გიორგი თურქიამ იკითხა, რით იყო განპირობებული ინგლისურენოვანი პროგრამის შემუშავება, თუ ქართულენოვანი უკვე არსებობდა, რაში გამოიხატებოდა განსხვავება. უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამა შეიქმნა საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში ნორვეგიულ მხარესთან ერთად. ინგლისურ პროგრამაში არის

ახალი და განსხვავებული ლიტერატურა. ამასთანავე ის მიზნად ისახავს არამარტო ქართველი, არამედ უცხოელი სტუდენტების მოზიდვასაც, რაც უკვე წვლილის შეტანაა გლობალურ უსაფრთხოებაში. ინგლისურენოვან პროგრამაში გათვალისწინებული იყო ის ცვლილებები, რაც მოხდა ქართულენოვანი პროგრამის შემუშავების შემდეგ.

საბჭოს წევრმა, გაიანე სიმონიამ იკითხა იყო თუ არა პროგრამაში ცვლილებები, რომლებიც საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ იყო ინიცირებული მეთოდოლოგიური თვალსაზრისით. რაზეც უნივერსიტეტის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ პროგრამაში ასახული იყო საზოგადოებრივი ჯანდაცვის ძირითადი კომპეტენციები, რომლებიც ეფუძნება საერთაშორისო მეთოდოლოგიურ მოთხოვნებს.

გაიანე სიმონია ასევე დაინტერესდა იმით, იყო თუ არა მოთხოვნა პროგრამაზე უცხოელი სტუდენტების მხრიდან, რაზეც უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დაინტერესება არსებობდა და უკვე იყვნენ სტუდენტები, რომლებიც პროგრამის შინაარსითა და ამოქმედების ვადებით ინტერესდებოდნენ.

სხდომის თავჯდომარემ გამოაცხადა შესვენება 19:20 საათზე.

სხდომა განაგრძდა 19:30 საათზე.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება :

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 27^ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას 4 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

19:40 საათზე დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ სხდომა დასრულებულად გამოაცხადა.

თავმჯდომარე:

ირაკლი ბურდული

ელიზბარ ელიზბარაშვილი

მდივანი:

გიორგი ოდოშაშვილი

ლევან გორდეზიანი